

ბიზნეს სუბიექტები... 2016 (6)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის ივნისის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 4 039 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 96.1% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 3.9% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.923 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. ივნისის თვეში დაფიქსირდა ზრდა როგორც წინა თვესთან (5.8%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (0.5%-ით) შედარებით.

2016 წლის ივნისის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 5.7%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 8.3%-ით გაიზარდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 0.8%-ით შემცირდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 48.1%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.913 და 1.236 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. ივნისის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 056 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 50.9%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 748 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 43.3%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 94.2% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 154 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 55 კოოპერატივი, 17 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 6 სააქციო საზოგადოება და 3 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი.

ა. წ. ივნისის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... ივნისი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... ივნისი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
ივნისი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	ივნისი	
		2015	2016
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3913	3882
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	106	157
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	4019	4039
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	97.4	96.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	2.6	3.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	8.1	5.7
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-14.5	8.3
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	7.4	5.8
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	7.9	-0.8
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	1.0	48.1
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	7.7	0.5
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.921	0.913
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.835	1.236
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.918	0.923
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2271	2056
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	59	55
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1560	1748
სააქციო საზოგადოება	ერთეული	7	6
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	15	17
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	104	154
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	1	3
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	1	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. ივნისი, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა	პროცენტი	
		ივნისი 2016	ივნისი 2015	მაისი 2016
1	თბილისი	1584	8.6	1.9
2	ბათუმი	296	7.6	7.6
3	ქუთაისი	195	-5.3	4.3
4	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	121	13.1	65.8
5	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	116	107.1	26.1
6	რუსთავი	108	5.9	-3.6
7	მარნეულის მუნიციპალიტეტი	92	-33.8	27.8
8	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	58	1.8	-6.5
9	ფოთი	55	-12.7	-22.5
10	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	55	-26.7	19.6

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

